



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27222721

თარიღი:29/09/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 51

29 სექტემბერი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს №49 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს N49 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.
2. განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 01 ნოემბრამდე“.
3. განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 იანვრამდე“.
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

